შპს „მედი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება 3
2. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 4
3. საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 5
4. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება 6
5. კორპორატიული ინფორმაცია 7
6. მომზადების საფუძველი 7
7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9
8. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 13

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	13,500,304	9,724,532
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,902,616)	(2,195,312)
საერთო მოგება	**10,597,688**	**7,529,220**
კომერციული ხარჯები	(248,585)	(160,383)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,858,956)	(5,517,223)
საოპერაციო მოგება	**3,490,146**	**1,851,614**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	202,906	170,655
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(16,208)	(1,136)
საპროცენტო შემოსავალი	240,715	1,619
საპროცენტო ხარჯი	-	(394)
მოგება(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(3,153)	(17,087)
მოგება(ზარალი) გადასახადების გადახდამდე	**3,914,408**	**2,005,271**
მოგების გადასახადი	**(1,890)**	**(324,694)**
წლის სრული მოგება	**3,912,517**	**1,680,577**

2. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
	არააუდირებული	არააუდირებული	არააუდირებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქივები			
ძირითადი საშუალებები	2,989,635	3,535,487	4,069,566
არამატერიალური აქტივები	34,744	37,007	46,539
გრძელვადიანი სესხები	3,900,000	-	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	
სულ გრძელვადიანი აქტივები	**6,924,379**	**3,572,494**	**4,116,105**
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	650,019	244,244	175,816
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	121,009	109,155	42,399
ავანსად გადახდილი თანხები	60,128	251,619	56,420
მისაღები პროცენტები	242,334		
საგადასახადო აქტივები	15,961		
მარაგები	688,500	633,908	1,002,832
სულ მიმდინარე აქტივები	**1,777,951**	**1,238,926**	**1,277,467**
სულ აქტივები	**8,702,330**	**4,811,420**	**5,393,572**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	74,000	74,000	74,000
გაუნაწილებელი მოგება	8,232,735	4,322,944	4,643,058
სულ კაპიტალი	**8,306,735**	**4,396,944**	**4,717,058**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდბულებები და მიღებული ავანსები	234,477	251,262	535,878
საგადასახადო ვალდებულებები	3,349	1,487	10,361
გადასახდელი დივიდნედები	157,769	161,727	105,413
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	-		24,862
სულ მიმდიანრე ვალდებულებები	**395,595**	**414,476**	**676,514**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	**8,702,330**	**4,811,420**	**5,393,572**

3. საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	**74,000**	**5,033,284**	**5,107,284**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		3,168,277	3,168,277
დივიდენდის გამოცხადება		(3,558,503)	(3,558,503)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**74,000**	**4,643,058**	**4,717,058**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		1,680,578	1,680,578
დივიდენდის გამოცხადება		(2,000,692)	(2,000,692)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	**74,000**	**4,322,944**	**4,396,944**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		3,912,517	3,912,517
დივიდენდის გამოცხადება		(2,726)	(2,726)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	**74,000**	**8,232,735**	**8,306,735**

4. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება	**3,912,517**
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	878,722
მოგება ძ.ს. რეალიზაციიდან	58,679
წინასწარ გაწეული ხარჯები	36,971
საპროცენტო შემოსავალი	240,715
სხვა არაფულადი შემოსავალი	125,030
ფინანსური ხარჯები	62,651
კორექტირებული მოგება:	**4,392,495**
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	
მოთხოვნების ზრდა/შემცირება	35,363
მარაგების ზრდა/შემცირება	54,592
ვალდებულებების ზრდა/შემცირება	22,166
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:	**4,324,706**
გადასახდელი გადასახადები	8,366
	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**4,333,073**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	343,304
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან შემოსავალი	71,356
გაცემული სესხები	3,650,000
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:	**(3,921,948)**
ფულასი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
გაცემული სესხების დაფარვა	-
დივიდენდების გადახდა	5,350
Dividends paid	
წმინდა ფულადი სახსრების ფინანსურ საქმიანობიდან:	**(5,350)**
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**244,244**
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება საანგარიშგებო პერიოდში	**405,775**
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**650,019**

5. კორპორატიული ინფორმაცია

მედი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 1999 წლის 12 აგვისტოს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204931949.

ძირითადი საქმიანობა. შპს "მედი"-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კლინიკაში ესთეტიკური და სხვა სამედიცინო მომსახურება: პლასტიკური ქირურგია, კოსმეტოლოგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, პროქტოლოგია, სარეაბილიტაციო ცენტრი (სპა და ფიტნესი). კომპანიაში დასაქმებულია 260 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მ. კოსტავას ქ., №52.

კომპანიის მეწილეები: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 50-50%-იან წილებს ფ/პ მარინა ვალიტი და ფ/პ გიორგი მჭედლიძე ფლობენ.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილს წარმოადგენენ შემდეგი საწარმო (ერთად ,,ჯგუფი"):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2021	2020	2019
შპს მედი ჰოსპიტალი	სამედიცინო მომსახურება	100%	100%	100%

6. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კონსოლიდირებული ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. ჯგუფის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი კონსლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის

კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. ჯგუფმა გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება გარდა 2018 წელს მომზადებული წინასწარი კონსოლიდირებული ანგარიშგებისა რაც წარმოადგენდა მსს ფასს-ზე გადასვლის პროცესის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს

ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით; 2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის

შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად

7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „მედის" მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. ჯგუფი ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში არ ახორციელებს.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

- **აღიარება და შეფასება**. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი

საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან
მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში
მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა ნაგებობები	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	10 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
კოსმეტოლოგიური და სამედიცინო აპარატურა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	7 წელი

არამატერიალური აქტივები

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია

ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლიცენზიები	7 წელი
პროგრამული უზრუნველყოფა	7 წელი
სხვა	7 წელი

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად ჯგუფი აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება

ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის

-

- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

8. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას,

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

1. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან	თანხა
შემოსავალი ეპილაციის მომსახურებიდან	5,452,611.27
შემოსავალი კოსმეტოლიგური მომსახურებიდან	4,402,092.92
შემოსავალი სტომატოლოგიური მომსახურებიდან	2,414,590.37
შემოსავალი ქირურგიული მომსახურებიდან	1,171,532.00
შემოსავალი სარეაბილიტაციო მომსახურებიდან	37,542.00
შემოსავალი გინეკოლოგიური მომსახურებიდან	12,100.00
შემოსავალი სხვა მომსახურების გაწევიდან	9835
მთლიანი შემოსავალი	**13,500,304**

2. თვითღირებულება

თვითღირებულება	2021
ძირითადი მასალების დანახარჯი/შეძენა	2,902,255.96
გაყიდული/შეძენილი საქონელი	360.00
მთლიანი თვითღირებულება	**2,902,616**

3. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები	2021
რეკლამის ხარჯი	185,933.83
სხვა კომერციული ხარჯები	62,651.40
მთლიანი მარკეტინგული ხარჯი	**248,585**

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	თანხა
შრომის ანაზღაურება	3,931,122
ცვეთა და ამორტიზაცია	878,722
საიჯარო ქირა	741,762
რემონტის ხარჯი	535,686
კომუნალური ხარჯები	287,453
საბანკო მომსახურების ხარჯი	104,372
კომპიუტერული და პროგრამული უზრ. მომსახურება	73,794
კომუნიკაციის ხარჯები	66,011
ტრანსპორტის მოვალა-შენახვის ხარჯები	57,232
საკანცელარიო	20,252
დაცვის მოსმახურების ხარჯი	19,042
წარმომადგენლობითი ხარჯი	12,433
მივლინება	4,382
დაზღვევის ხარჯი	5,572
საგადასახადო და საბაჟო ხარჯები	1,940
სხვა საერთო და ადმ. ხარჯი	121,070
მთლიანი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**6,860,847**

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა	მიწა	შენობა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	მაწქანა-დანადგარები	სხვადასხვა ძირითადი საშუალებები	ავეჯი და ინვენტარი	კოსმეტოლოგიური და სამედიცინო აპარატურა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
1 იანვარი 2019 წელი	1,166,490	787,475	658,028	390,818	893,378	563,770	7,134,813	308,651	10,736,933
შესყიდვები			101,665	7,793	90,122	48,570	479,989		728,139
გაყიდვები							(401)		(401)
31 დეკემბერი 2019 წელი	1,166,490	787,475	809,593	398,611	983,500	612,340	7,614,401	308,651	11,514,571
შესყიდვები		2,881	43,391	5,923	27,403	27,096	326,436		433,130
გაყიდვები		-	(1,407)			(1,300)	(1,332)	(27,999)	(32,038)
31 დეკემბერი 2020 წელი	1,166,490	790,356	851,577	404,534	1,010,903	638,136	7,939,505	280,652	11,915,663
შესყიდვები			171,058		17,732	24,997	88,485	33,300	335,572
გაყიდვები		(14,938)	(1,289)			(77,088)		(16,040)	(109,354)
31 დეკემბერი 2021 წელი	1,166,490	775,419	1,021,346	404,534	1,028,635	586,045	8,027,990	297,912	12,141,881
ცვეთა									
1 იანვარი 2019 წელი		(413,602)	(482,208)	(288,045)	(600,121)	(396,400)	(5,219,374)	(269,482)	(7,669,232)
ცვეთა		(39,374)	(96,791)	(12,356)	(91,746)	(60,022)	(633,166)	(8,808)	(942,263)
გასვლა		-							-
31 დეკემბერი 2019 წელი		(452,976)	(578,999)	(300,401)	(691,867)	(456,422)	(5,852,540)	(278,290)	(8,611,495)
ცვეთა		(39,458)	(92,246)	(12,614)	(92,669)	(58,911)	(648,835)	(6,941)	(951,675)
გასვლა			1,407			1,300	1,197	12,600	16,504
31 დეკემბერი 2020 წელი		(492,434)	(669,838)	(313,015)	(784,536)	(514,033)	(6,500,178)	(272,631)	(9,546,666)
ცვეთა		(38,771)	(109,868)	(12,590)	(56,636)	(44,325)	(600,721)	(6,105)	(869,017)
გასვლა		10,632	1,207			77,088		8,020	96,947
31 დეკემბერი 2021 წელი		(520,572)	(778,500)	(325,605)	(841,172)	(481,270)	(7,100,899)	(270,716)	(10,318,735)
საბალანსო ღირებულება									
1 იანვარი 2019	1,166,490	373,873	175,820	102,773	293,257	167,370	1,915,439	39,169	3,067,701
31 დეკემბერი 2019	1,166,490	334,499	230,594	98,210	291,633	155,918	1,761,861	30,361	2,903,076
31 დეკემბერი 2020	1,166,490	297,922	181,739	91,519	226,367	124,103	1,439,327	25,281	2,386,257
31 დეკემბერი 2021	1,166,490	254,846	242,846	78,929	187,463	104,775	927,091	27,196	1,823,145

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	2021	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	37,537	18,714.20	102,412.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	612,481	225,529.43	73,404.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0.63	0.56	0.77
მთლიანი ფული და ფულის ექვივალენტები	**650,019**	**244,244**	**175,817**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2021**	**2020**	**2019**
სავაჭრო მოთხოვნები	69,516	34,234	41,997
გადახდილი ავანსები	111,486	74,514	56,421
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	135	55	401
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**181,137**	**108,803**	**98,819**
საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნეტო	**181,137**	**108,803**	**98,819**

8. მარაგები

მარაგები	**2021**	**2020**	**2019**
მარაგები კლინიკის სხვადასხვა მომსახურებისათვის	685,996	631,738	999,470
ნედლეული და მასალები	2,504	2,169	3,362
მთლიანი ფული და ფულის ექვივალენტები	**688,500**	**633,908**	**1,002,832**

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2021**	**2020**	**2019**
სავაჭრო ვალდებულებები	154,313	173,064	535,787
მიღებული ავანსები	80,164	78,069	105,101
სხვა ვალდებულებები	3,349	81	10,623
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**237,826**	**251,214**	**651,512**

საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან ანგარიშგების მომზადების პერიოდში, არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენდა წარმოდგენილ ინფორამციაზე.

ფინანსური დირექტორი: თამარ ბრეგვაძე

ხელმოწერა: ----------

დირექტორი: კახაბერ მჭედლიძე

ხელმოწერა: ----------

ბ.ა.